ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №43

2011 წლის 28 დეკემბერი
ქ. ქობულეთი

,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 17 მარტის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მუხლი 1.

,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 17 მარტის №20 დადგენილებაში (სსმ 28.03.2011 წ.) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება და დამატება:

1.მე-4 პუნქტს დაემატოს ,,ვ" ქვეპუნქტი.

,, ვ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული სისტემურ - ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი კვარტალში."

მუხლი 2.

ეს დადგენილება ამოქმედდეს ,,სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**